ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 17

13 აპრილი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიებთან ერთად.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე - თამარ მათიაშვილი

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი- ირაკლი დარახველიძე

ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი- გელა ჩივიაშვილი

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- მალხაზ ჭამპურიძე

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი- საბა ფიფია

განვითარების ფორნდის უფროსი- გიორგი ბაიდარაშვილი

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი- ზაზა ცინაძე

ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები- ჯიმი კიტია და დავით კერესელიძე

სამგორი რაიონის გამგეობის წარმომადგენელი- სოსო ბურდულაძე

გლდანის რაიონის გამგებელი- ბექა მიქაუტაძე

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი- გიორგი ბაგრატიონი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, გოჩა თევდორაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბუჯეტო კომისია.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე განხილვა. (N12-03180941-03. 04.04.2018წ.)

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის შესახებ“. (N12-031805975-03. 28.02.2018წ.)

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში გატვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები №11-0118101874; №11-01181022221)

4. ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის IV მიკრორაიონის კორპ.№425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ#01.19.39.002.091; #01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (№12-03181026-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია ბიუჯეტში ცვლილებებთან დაკავშირებით. გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის გადასახდელებში მოძიებული რესურსი 5338,8 ათასი ლარი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

იზრდება :

2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 1 040,0 ათასი ლარით, სტიქიის შედეგად დაზარალებული 2 ოჯახისათვის საკომპენსაციო თანხის გასაცემად; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) – 132,6 ათასი ლარით, ბარათაშვილის ხიდზე საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ასიგნებები - 1 180,0 ათასი ლარით; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების (კოდი 07 02 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით; წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის (კოდი 10 26) ასიგნებები იზრდება 1 226,7 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებით, გაიზარდა სამსახურის ფუნქციები (ცალკეული სამართალდარღვევების გამოვლენა და კონტროლი, სამართალდამრღვევი პირების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და სხვა) შესაბამისად, საჭირო გახდა შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირების რაოდენობის გაზრდა, რაც იწვევს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (კოდი 10 07) ასიგნებების 621,0 ათასი ლარით ზრდას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების პრიორიტეტის ფარგლებში ემატება ახალი პროგრამა - „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა“ (კოდი 09 01) – 438,5 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება აღმაშენებლის გამზირზე არსებული ვიდეო სათვალთვალო ქსელის გამართვის, თბილისის მუნიციპალიტეტის ობიექტებში და რიყის პარკის ტერიტორიაზე ერთიანი ვიდეო სათვალთვალო სისტემების დაწერგვა-განვითარებისა და შესაბამისი მონიტორინგის ცენტრის მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

ცალკეული პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები შემცირდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, მათ შორის:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე მცირდება ასიგნებები 3 240,4 ათასი ლარით, მათ შორის: გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 866,3 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 199,9 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 704,9 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 2,0 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 37,0 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 144,1 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 163,3 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 424,2 ათასი ლარით,

გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 488,4 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 210,3 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე ასიგნებები მცირდება 1 426,0 ათასი ლარით, მათ შორის: კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 61,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 137,6 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 77,1 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 17,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიბები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 137,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 661,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 93,8 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 126,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 33,5 ათსი ლარით და კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 80,1 ათასი ლარი.

განათლების პრიორიტეტის ფარგლებში თავისუფალი რესურსის ხარჯზე მცირდება საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ასიგნებები 68,3 ათასი ლარით.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 153,7 ათასი ლარით, მათ შორის: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 132,6 ათასი ლარით, მცირდება კეთილმოწყობის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნებები; ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე, მცირდება კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონების (კოდი 08 11) პროგრამაში გათვალისწინებული ასიგნებები სულ 21,0 ათასი ლარით, მათ შორის: კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 1,8 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 2,8 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 11,5 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 4,1 ათასი ლარით და კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 0,8 ათასი ლარით.

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 450,6 ათასი ლარით, მათ შორის: მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ფარგლებში თავისუფალი რესურსი მცირდება 438,5 ათასი ლარით, ხოლო ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე მცირდება დიდუბის რაიონის გამგეობის (კოდი 10 29) ასიგნებები 3,9 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 1,3 ათასი ლარით და მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 6,9 ათასი ლარით.

ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები ქონდათ ირაკლი ნადირაძეს, რამინა ბერაძეს. შეკითხვები ეხებოდა სითი პარკის თემას, ღამის ეკონომიკის განვითარების პროგრამას. ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა რატომ გახდა საჭირო ბიუჯეტში ახალი პროგრამის ჩამოყალიბება. მათ ყველა შეკითხვაზე განმარტა გაიოზ თალაკვაძემ. რამინა ბერაძემ სთხოვა გაიოზ თალაკვაძეს მომავალში თუკი იქნება სატენდერო ეკონომიები, ცვლილებების შეტანის დროს გაითვალისწინონ, რომ ეს ეკონომია მიმართული იქნას ჩუღურეთის რაიონში დანგრეული და ავარიული სახლების გამაგრებისაკენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კომისიის წევრებმა კომისიების მიხედვით ცალცალკე უყარეს კენჭი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე, საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის შესახებ“.

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით ისაუბრა ბიუჯეტის წლიური შესრრულებასთან დაკავშირებით. მისი თქმით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 837,472.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგენს 855,436.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.1%. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 771,072.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 787,200.7 ათასი ლარით არის შესრულებული, რაც გეგმის 102.1% და მთლიანი - შემოსულობების 92.0% შეადგენს. **გადასახადების სახით** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 256,944.2 ათასი ლარი. **საშემოსავლო გადასახადიდან** ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 91,300.0 ათასი ლარი. **ქონების გადასახადიდან** მიღებულია 165,644.2 ათასი ლარის შემოსავალი,მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან - 132,608.4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 17,507.0 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან - 15,528.8 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 347,711.5 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 163,544.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 182,544.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 111.6%-ია. მათ შორის: **პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3,599.1 ათასი ლარი. **დივიდენდებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 157.9 ათასი ლარი. **რენტის** სახით

მობილიზებულია 5,771.3 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1,567.7 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 4,203.5 ათასი ლარი. **ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან** მიღებულია 130,966.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (119,158.3 ათასი ლარი) 109.9%-ია. მათ შორის: **სანებართვო მოსაკრებელიდან** მთლიანობაში მიღებულია 2,200.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,713.7 ათასი ლარი) 128.4%-ია. **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 62,995.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (53,150.0 ათასი ლარი) 118.5%-ი და 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (41,415.9 ათასი ლარი) შედარებით 21,579.4 ათასი ლარით მეტია. **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45,882.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 45,000.0 ათასი ლარის 102.0%-ია. **ჯარიმებიდან და საურავებიდან** მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 27,819.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 103.1%-ია. **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 12,786.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (7,980.4 ათასი ლარი) 160.2%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 712.6 ათასი ლარი, შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან - 1,396.9 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან – 2,279.5 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,512.6 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 1,561.0 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 5,323.5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 66,194.9 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 6,456.2 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 146.9 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 59,591.7 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივებიდან__საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 2,040.4 ათასი ლარი. **ვალდებულებების ზრდის**_ სახით საანგარიშო პერიოდში ასახულია - 0.6 ათასი ლარი.

2017 წელს **ნაშთის ცვლილების** სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 5,661.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 29,503.2 ათასი ლარი.

2017 წელს **გადასახდელების** შესრულების 98%-იანი მაჩვენებელია დაფიქსირებული.

გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმა შეადგენს 843,134.5 ათასი ლარს, აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა - 835,193.9 ათასი ლარი, გეგმის 99%-ი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 825,933.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98%-ი და აღებული ვალდებულებების 99%-ია.

პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 162,131.0 ათასი ლარით, გეგმის (164,876.8 ათასი ლარი) 98%-ი.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლო, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება- დაფინანსებულია 95,1%-ით- 1422223,6 ათასი ლარით.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 77,700.5 ათასი ლარით.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,278.0 ათასი ლარით, გეგმის (1,377.6 ათასი ლარი) 93%.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 29,416.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 29,673.4 ათასი ლარის 99%-ი).

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 190,637.3 ათასი ლარით, გეგმის (191,381.7 ათასი ლარი) 99.6%.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 44,105.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 44,537.8 ათასი ლარის 99%-ი). **სოციალური დაცვა** დაფინანსებულია 146,531.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 146,843.9 ათასი ლარის 99.8%-ი).

განათლება დაფინანსებულია 120722,3 ათასი ლარით(99,8%)

08 00 კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 28,367.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (29,348.3 ათასი ლარი) 97%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - ცხოველთ მონიტორინგი დაფინანსდა 3,157.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,158.3 ათასი ლარი) 100%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 70,299.8 ათასი ლარით, გეგმის (71,730.8 ათასი ლარი) 98%-ი.

ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით კომისიის წევრების შეკითხვებზე, განმარტებების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

კომისიებმა ცალ-ცალკე უყარეს კენჭი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის შესრულების ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანას. (მომხრე-7 წინააღმდეგი-ირაკლი ნადირაძე, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები №11-0118101874; №11-01181022221)

გაიოზ თალაკვაძის თქმით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოს, სააგენტოს საქმიანობისთვის აუცილებელი საფინანსო საბუღალტრო პროგრამის "ESBA"-ს 2018 წლის ლიცენზიის შესაძენად, შრომითი ხელშეკრულებისთ დასაქმებულთა შრომის ანაზრაურებისათვის და სოციალური პროგრამისათვის „გაუფრთხილდი ქალაქს" სჭირდება დამატებით 224 120 ლარი, ხოლო ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო წერილობით აღნიშნავს რომ, „საზოგადოების განათლების და ინფორმირების ხელშეწყობის" პროგრამაში საქონელი და მომსახურების მუხლში აქვს თავისუფალი რესურსი 292 400 ლარი. გამომდინარე აქედან „საზოგადოების მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების" პროგრამაში(07 02 04) ემატება 224 120 ლარი.

კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაო სამსახურს, პროექტის "ისწავლე და დასაქმდი"ს განსახორციელებლად , ესაჭიროება 180 000 ლარი, თანხების გადმოტანა ხდება „პროფესიული და ზრდასრული განათლების განვიტარების ხელშეწყობის" პროგრამიდან. გარდა ამისა ზაფხულსა და შემოდგომაზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში ევროპის ჩემპიონატსა და საერთაშორისო ტურნირებში თბილისის გუნდების მომზადებისა და მონაწილეობისათვის „სპორტული ღონისძიებების" პროგრამაში (კოდი 07 04) მეორე კვარტალს ემატება 600 000 ლარი, მესამე და მეოთხე კვარტლების გეგემბისა შემცირების ხარჯზე.

კომისიის წევრების შეკითხვებზე დამატებით განმარტებების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომინიკაციის განვითარების სააგენტო" და სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ითხოვს, მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებებს და აღნიშნული კვარტალური გადანაწილებების დაბალანსება ხდება ცალკეულ პროგრამებში და ქვეპროგრამებში არსებული რესურსების ხარჯზე და შემოსავლების ნაწილში სპეციალური ტრანსფერით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი**

წერილების დანართების შესაბამისად ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის IV მიკრორაიონის კორპ.№425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ#01.19.39.002.091; #01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თამარ მათიაშვილის განმარტებით, "საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას" პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაეცემა ქ.თბილისში,ვარკეთილი-3-ის IV მიკრორაიონის კორპ.№425-ის მიმდებარედ არსებული, 13390 კვმ და 4853 კვმ ფართობის მიწის ნაკვეთები (ს/კ №01.19.39.002.091 და №01.19.039.002.092). საპრივატიზებო თანხა განისაზღვრა 1 (ერთი) ლარი, საპრივატიზებო პირობად გაინისაზღვრა მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში. ასევე მიწის ნაკვეთების განვითარება მხოლოდ სპორტული დანიშნულებით, ტერიტორიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ობიექტების განთავსების შესაძლებლობით და ტერიტორიაზე სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ დედაქალაქში სპორტული ობიექტების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, აქედან გამომდინარე კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

მომხრე-8; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტი: „ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის IV მიკრორაიონის კორპ.№425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ#01.19.39.002.091; #01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა